

National Drug Politics and Implementation Perspectives in Georgia

Natia Kvizhinadze¹, Nodar Sulashvili²,
Ana Nachkebia³, Mariam Talakhadze⁴

¹Associate Professor at the Department of Social and Clinical Pharmacy, Tbilisi State Medical University;

²Associate Professor The University of Georgia, School of Health Sciences;

^{3,4}VIII semester students of TSMU

The importance of human medicines in the modern world is great given the global challenges as there is a growing risk of low quality, ineffective and threatening pharmaceutical products circulating, especially for low- and middle-income countries, where regulatory instruments and quality control systems cannot guarantee risk prevention and timely response. Effective, timely and affordable treatment depends on a number of factors: drug policy regulation, quality of medicines in the country, effectiveness and safety, cost of medicines, qualified medical personnel, and an effective functioning health care system. Pharmaceutical policy is a branch of health policy that deals with the development, provision and use of medications within a health care system. It embraces drugs (both brand name and generic), biologics (products derived from living sources, as opposed to chemical compositions), vaccines and natural health products.

The World Health Organization considers the regulation of the field of pharmaceuticals a major challenge for developing countries, and calls on countries to identify effective regulation of deficiencies and correct deficiencies. The national policy of pharmacy, the development of the related pharmacy activities, and the problems in the field of pharmacy as a separate health care sector, is an important issue in national policy.

The aim of the study was to determine the role of national drug policy for country, place; role and priority of pharmacy staff, as well as to study out the reforms of the pharmacy field and to find out how well the pharmacists are informed in the national pharmacy policy.

The survey of the pharmacists conducted in various pharmacies in Tbilisi, to unsure with the complete anonymity.

According to the survey the respondents answers the several questions and the following revealed: only 56 % of the survey participants mentioned that Health care and Pharmacy sector is the partly

წამლის ეროვნული პოლიტიკა და განხორციელების პერსპექტივები საქართველოში

ნათია კვიჟინაძე¹, ნოდარ სულაშვილი²,
ანა ნაჭყებია³, მარიამ ტალახაძე⁴

¹თსუ-ის ასოცირებული პროფესორი;

²საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

^{3,4} თსუ-ის VIII სემესტრის სტუდენტები

გლობალური გამოწვევების გათვალისწინებით მედიკამენტებს მოსახლეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იზრდება დაბალი ხარისხის, არაეფექტური და საფრთხის შემცველი ფარმაცევტული პროდუქტების მოხმარების რისკი, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის, სადაც მარეგულირებელ ინსტრუმენტებსა და ხარისხის კონტროლის სისტემებს არ შეუძლია უზრუნველყოს რისკის პრევენცია და დროული რეაგირება. ეფექტური, დროული და ხელმისაწვდომი მკურნალობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: წამლის პოლიტიკის რეგულირება, ქვეყანაში მედიკამენტების ხარისხი, ეფექტურობა და უსაფრთხოება, მედიკამენტების ღირებულება, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი და ეფექტური ფუნქციონირების ჯანდაცვის სისტემა. ფარმაცევტული პოლიტიკა ჯანმრთელობის პოლიტიკის ის დარგია, რომელიც ეხება ჯანდაცვის სისტემაში მედიკამენტების შემუშავებას, მიწოდებას და გამოყენებას. იგი მოიცავს მედიკამენტებს (როგორც ბრენდის, ისე ჯენერიკის), ბიოლოგიურ საშუალებებს (ცოცხალი წყაროებიდან მიღებული პროდუქტები, ქიმიური შემადგენლობისგან განსხვავებით), ვაქცინებსა და ბუნებრივი ჯანმრთელობის პროდუქტებს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ფარმაცევტული პროდუქტის, ზოგადად ამ დარგის რეგულირებას მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევს განვითარებადი ქვეყნებისათვის და მოუწოდებს მათ იპოვონ ხარვეზების გადაჭრის ეფექტური გზები და გამოასწორონ ისინი. წამლის ეროვნული პოლიტიკა, მასთან დაკავშირებული სააფთიაქო საქმიანობის განვითარება და პრობლემები, როგორც ცალკეული ჯანდაცვის სექტორი, სააფთიაქო სფეროში, მნიშვნელოვანი საკითხია ეროვნული პოლიტიკისთვის. კვლევის მიზანი იყო წამლის ეროვნული პოლიტიკის როლის განსაზღვრა ქვეყნისთვის, სააფთიაქო პერსონალის (ფარმაცევტის) როლის და პრიორიტეტის განსაზღვრა, აგრეთვე სააფთიაქო დარგის რეფორმების შესწავლა და იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად არიან ფარმაცევტები

important as the state priority field. 34% of respondents are aware about the law and legislation of Pharmaceutical Activity of the county; unfortunately, only 20% believe that the population is protected from counterfeit medicines; 37% thought that population has right to receive full and complete information about medicines; 15% of pharmacists surveyed consider that they are appreciated in their workplace; 89% thinks that price adjustment is needed and should be controlled by state.

Based on the research, we can draw the following conclusions: The state have to pay more attention to the health sector and to the pharmacy sector as well; Awareness of the pharmacists about the Law and regulations on Drugs and Pharmaceuticals are very important; regulation on medicines prices are essential; enhance and strengthen the role of the pharmacist is significant.

Key words: National, Drug policy, pharmacist, drug.

ინფორმირებული წამლის ეროვნული პოლიტიკის შესახებ.

თბილისის სხვადასხვა აფთიაქში ჩატარდა ფარმაცევტა გამოკითხვა ინტერვიუებისა და ანკეტირების საფუძველზე. გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტებმა რამდენიმე კითხვას უპასუხეს და გამოვლინდა შემდეგი: გამოკითხვის მონაწილეთა მხოლოდ 34%-მა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და ფარმაცევტული სექტორი ნაწილობრივ მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო პრიორიტეტული სფერო. გამოკითხულთა 34%-მა იცის ქვეყნის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის კანონი და კანონმდებლობა; სამწუხაროდ, მხოლოდ 20% თვლის, რომ მოსახლეობა დაცულია ყალბი მედიკამენტებისგან; 37% თვლის, რომ მოსახლეობას აქვს უფლება მიიღოს სრული ინფორმაცია მედიკამენტების შესახებ; გამოკითხულ ფარმაცევტთა 15% თვლის, რომ მათ აფასებენ თავიანთ სამუშაო ადგილზე; 89% მიიჩნევს, რომ ფასის კორექტირება საჭიროა და ამას სახელმწიფო აკონტროლებს. კვლევის საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები: სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ჯანმრთელობისა და სააფთიაქო სექტორს. ძალიან მნიშვნელოვანია ფარმაცევტების ინფორმირებულობა წამლებისა და ფარმაცევტული პროდუქტების შესახებ კანონისა და რეგულაციების შესახებ; აუცილებელია მედიკამენტების ფასების რეგულირება; მნიშვნელოვანია ფარმაცევტის როლის განსაზღვრა და გაძლიერება სამუშაო ადგილზე.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული პოლიტიკა, წამალი, ფარმაცევტი.